ასკ (დონის როსტოვი) – “დინამო” (თბილისი) 6:2 (3:0).

თბილისის “დინამოს” ფეხბურთელებმა უაღრესად ცუდად, ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა ჩაატარეს გუშინდელი მატჩი როსტოვში და დიდი ანგარიშით განიცადეს მარცხი გუნდთან, რომელიც საკავშირო ჩემპიონატის გათამაშების ცხრილში ბოლო, მე–18 ადგილზე იმყოფება.

მასპინძლებმა თავიანთ დამაჯერებელ გამარჯვებას საფუძველი მატჩის დასაწყისშივე ჩაუყარეს, როცა მე–5 წუთზე პლოშნიკის გადაცემა კარგად გამოიყენა ა. ვორობიოვმა და ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში – 1:0. ათიოდე წუთის შემდეგ დინამოელთა კარში საჯარიმო დაინიშნა, ანდრეევმა საკმაოდ შორი მანძილიდან ზუსტად დაარტყა – 2:0, 24–ე წუთზე კი პლოშნიკმა მესამედ აიძულა თბილსელთა მეკარე გაბელია ბადიდან გამოეტანა ბურთი.

ტაიმი – 3:0. არმიელებმა ფაქტიურად ამ ეტაპზევე გაინაღდეს გამარჯვება, მაგრამ ისინი შესვენების შემდეგაც განაგრძობდნენ იერიშებს, 67–ე წუთზე პლოშნიკმა მეოთხე ბურთი გაიტანა “დინამოს” კარში.

აქ, მცირე ხნის მანძილზე, საკმაოდ ძლიერი კონტრთამაში შექმნეს დინამოელებმა, რაც მასპინძელთა კარში მახარაძისა და გურულის მიერ ზედიზედ გატანილი ორი გოლით დამთავრდა. თითქოს მდგომარეობის გამოსწორების შესაძლებლობაც შეიქმნა, მაგრამ როსტოველებმა კვლავ ხელთ აიღეს ინიციატივა, გალაიბამ ანგარიში 5:2–მდე აიყვანა, მერე, 87–ე წუთზე, დინამოელთა კარში 11–მეტრიანიც დაინიშნა, რომელიც ზუსტად გამოიყენა ა. ვორობიოვმა – 6:2.

თბილისის “დინამომ” მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: გაბელია, მიქაბერიძე (დანელია), ჩივაძე, თევზაძე, არზიანი, მახარაძე, სვანაძე, ჟორდანია, ჩელებაძე, ცაავა (გურული), ჩქარეული. იმსაჯა მოსკოველმა ა. ხორლინმა. დუბლიორთა მატჩი დამთავრდა ფრედ – 2:2.

“ლელო”, 22 ივლისი, 1985 წ.